

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი
№1**

ქ. ქუთაისი

11 თებერვალი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
კონსტანტინე ქავთარაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების ბეტონის საფარით კეთილმოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 6000 (ექვსი ათასი) ლარი) შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების ბეტონის საფარით კეთილმოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 6000 (ოცდაათი ათასი) ლარი) შესყიდვის პროექტი.

აზრი გამოთქვას: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრმა: ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების ბეტონის საფარით კეთილმოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 16 თებერვალს 12:30 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2015 წლის 16 თებერვლის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე-3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:



ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:



კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი



მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე

